



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 მარტი 2026



N 137/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს „მასალები და ბეტონი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (კონგლომერატი) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მასალები და ბეტონი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „მასალები და ბეტონი“-ზე სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ, 2025 წლის 11 მარტის №1676 ლიცენზია-ბრძანების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე “საკაპდის” კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) მოპოვებაზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. ბრძანებით განსაზღვრული სალიცენზიო ობიექტი წარმოდგენილია 2 უბნად: სამთო მინაკუთვნი (ფართობი — 27 750 მ²) და მიწის მინაკუთვნი (ფართობი — 4 880 მ²).

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით შპს „ჯორჯიან ინერჯის“-ის ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო, ხოლო დასავლეთით — შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს ბეტონისა და ინერტული მასალების საწარმო მდებარეობს. აღმოსავლეთით და სამხრეთით განთავსებულია კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. საპროექტო მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფელი მარტყოფი, დაშორებულია დაახლოებით 553 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით დამუშავებას. ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში გათვალისწინებულია კონგლომერატის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა. ტექნოლოგიური ხაზი აღჭურვილი იქნება შესაბამისი დამხმარე ერთეულებით, კერძოდ: მიმღები ბუნკერი; ორი საცერ-დამხარისხებელი; კლასიფიკატორი; ყბებიანი სამსხვრევი; როტორული სამსხვრევი; ხუთი ლენტური ტრანსპორტიორი. ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია ორი შედუღების აპარატის, აირული ჭრის აპარატის, სასენიზაციო ორმოსა და წყლის სამარაგო ავზის განთავსება. საწარმოს წარმადობა იქნება 10 მ³/სთ, სამუშაო რეჟიმი — წელიწადში 150 დღე, დღეში 8 საათი. შესაბამისად, საწარმო წლის განმავლობაში 12 000 მ³ კონგლომერატის

გადამუშავებას უზრუნველყოფს. ინერტული მასალის გადამუშავების შედეგად მიიღება სამი ძირითადი ფრაქცია: 0–5 მმ, 5–10 მმ და 10–20 მმ.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ჯამში დაახლოებით 10 დღე გაგრძელდება და მასშტაბისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო წყლით ობიექტი მომარაგდება ბუტილირებული სახით, ხოლო საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ტუმბოს საშუალებით განხორციელდება შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ბალანსზე რიცხული მაგისტრალური არხიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. წყალი დაგროვდება საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილ სამარაგო ავზში (GPS კოორდინატები: X–505299; Y–4617916; ფართობი — 325 მ²; მოცულობა — 1 300 მ³). საწარმოში გათვალისწინებულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რომლის ფარგლებში ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები სამსექციანი სალექარის (მოცულობა — 540 მ³) გავლით დაუბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლს. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოო დანიშნულებით წლის განმავლობაში საჭირო იქნება 18 000 მ³ წყალი. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის ფუნქციონირების პირობებში ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება განხორციელდება მხოლოდ ბუნებრივი ან/და ტექნოლოგიური დანაკარგების შესავსებად. წლიური დანაკარგი საშუალოდ 30–35%-ს შეადგენს. შესაბამისად, ზედაპირული წყლის ობიექტიდან აღებული საჭირო წყლის მოცულობა დაახლოებით 6 300 მ³ იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ბეტონის საასენიზაციო ორმოში შეიკრიბება და პერიოდულად დაიცლება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სერვისის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. სანიაღვრე წყლების მართვის მიზნით ტერიტორიაზე დაგეგმილია სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემის მოწყობა, რომელიც მოიცავს საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრზე მოწყობილ მიწის არხებს, რომლებიც შესაბამისი დახრის კუთხით უზრუნველყოფს წყლის არიდებას საწარმოო უბნიდან. პირობითად სუფთა სანიაღვრე წყლები ბუნებრივად დრენირდება გრუნტში.

სკრინინგის განცხადებაში განხილულია შპს „მასალები და ბეტონი“-ს მომიჯნავედ არსებული შპს „ბლექ სი გრუპი“-ს ბეტონისა და ინერტული მასალების საწარმოს და შპს „ჯორჯიან ინერტი“-ს ინერტული სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ერთობლივად საქმიანობით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით. აღსანიშნავია, რომ პროგრამული მოდელირების შედეგებით დადგინდა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, უარესი სცენარის გათვალისწინებით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან შესაძლო ხმაურის დონე არ აღემატება 37,2 დბ-ს, რაც არ აჭარბებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით („ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“) განსაზღვრულ დასაშვებ ხმაურის ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, არაორგანული მტვრის, შეწონილი ნაწილაკების, მანგანუმის ორჟანგის, აზოტის ორჟანგის, ასევე ნახშირწყანგის წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს კუმულაციური ზემოქმედების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება,

იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ანგარიში. გაფრქვევის მოდელირებული გაანგარიშების შედეგებით, საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია როგორც უახლოეს რეცეპტორებთან, ისე 500-მეტრიანი რადიუსის საზღვარზე კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს და შესაბამისად, საპროექტო საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ნარჩენების მართვა განხორციელდება სეპარირებულად, ნარჩენების სახიფათოობის/არასახიფათოობის მახასიათებლიდან გამომდინარე. არასახიფათო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას გადაეცემა. სალექარში წარმოქმნილი ლამი, დაგროვების შესაბამისად, შემდგომ რეალიზაციამდე დროებით დასაწყობდება საპროექტო საწარმოს ტერიტორიაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია გათვალისწინებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოების ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. საწარმოები განთავსებულია ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ასევე ფუნქციონირებს შპს „ჯორჯიან ინერჯი“-ს და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს სხვადასხვა ინფრასტრუქტურა.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს „მასალები და ბეტონი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (კონგლომერატი) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გზმ-ს.
2. შპს „მასალები და ბეტონი“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მასალები და ბეტონი“-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მასალები და ბეტონი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/137-21-4-202603051558>

